სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

მოქ: რამაზ მარცვალაძის

ტელ: 595 093587

პ/ნ 01008018134

მცხ: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N87ბ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა:

მოგახსენებთ, რომ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N87ბ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში (საკადასტრო კოდი: 01.14.11.022.005). აღნიშნული სახლის მომიჯნავედ მოსაშვილის ქუჩა N26-ში **შპს „აა2“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 405141537) **საკადასტრო კოდი:**01.14.11.022.002 აწარმოებს, დემონტაჟის სამუშაოებს და რომლის ადგილზეც შემდგომ იგეგმება მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა.

ვინაიდან ფალიაშვილის ქუჩა N87ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში, სახლის მახლობლად ნებისმიერი სამშენებლო სამუშაოები, საძირკველის გათხრა და ა.შ. გამოიწვევს სახლის მეტად დაზიანებას და შესაძლოა ჩამონგრევასაც კი. აქედან გამომდინარე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, გთხოვთ ჩაგვრთოთ მიმდინარე საქმის წარმოებაში.

რამაზ მარცვალაძე _____